

შპს ალესოფტ ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. დაწესებულების მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	9
5. სავაჭრო მოთხოვნები	9
6. გადახდილი ავანსები	9
7. ძირითადი საშუალებები	10
8. გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი	11
9. საწესდებო კაპიტალი	11
10. შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან	11
11. რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	11
12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	12
13. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	12
14. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	12
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	13

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-23	31-12-22
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	4	7,268,263	1,216,033
სავაჭრო მოთხოვნები	5	5,678,345	590,657
გადახდილი ავანსები	6	113,830	120,748
საგადასახადო აქტივი		5,957	19,306
სულ მოკლევადიანი აქტივები		13,066,395	1,946,744
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	458,836	480,365
სულ გრძელვადიანი აქტივები		458,836	480,365
სულ აქტივები		13,525,231	2,427,109
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		4,368	12,733
გამოუმუშავებელი შემოსავალი		77,262	-
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი	8	743,942	924,115
სულ ვალდებულებები		825,572	936,848
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	100	100
გაუნაწილებელი მოგება		12,699,559	1,490,161
სულ საკუთარი კაპიტალი		12,699,659	1,490,261
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		13,525,231	2,427,109

დირექტორის მინდობილი პირი



Aliaksandr Yaromenka

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-23	31-12-22
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	4	7,268,263	1,216,033
სავაჭრო მოთხოვნები	5	5,678,345	590,657
გადახდილი ავანსები	6	113,830	120,748
საგადასახადო აქტივი		5,957	19,306
სულ მოკლევადიანი აქტივები		13,066,395	1,946,744
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	458,836	480,365
სულ გრძელვადიანი აქტივები		458,836	480,365
სულ აქტივები		13,525,231	2,427,109
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		4,368	12,733
გამოუმუშავებელი შემოსავალი		77,262	-
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი	8	743,942	924,115
სულ ვალდებულებები		825,572	936,848
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	100	100
გაუნაწილებელი მოგება		12,699,559	1,490,161
სულ საკუთარი კაპიტალი		12,699,659	1,490,261
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		13,525,231	2,427,109

დირექტორის მინდობილი პირი

Aliaksandr Yaromenka

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან	10	31,419,893	9,303,581
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	11	(9,598,311)	(6,674,469)
საერთო მოგება		21,821,582	2,629,112
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	12	(928,373)	(788,680)
ხელფასები და სხვა სარგებელი	13	(1,077,679)	(187,248)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი	7	(117,444)	(36,560)
მოგება პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		19,698,086	1,616,624
საპროცენტო შემოსავალი		987	911
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან		19,443	(127,605)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		225	231
მოგება დაბეგვრამდე		19,718,741	1,490,161
მოგების გადასახადი		(425,593)	-
წმინდა მოგება		19,293,148	1,490,161

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 18 მარტი		-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	9	100	-	100
წმინდა მოგება		-	1,490,161	1,490,161
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი		100	1,490,161	1,490,261
წმინდა მოგება		-	19,293,148	19,293,148
დივიდენდის გატანა		-	(8,083,750)	(8,083,750)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი		100	12,699,559	12,699,659

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ალესოფტ“ რეგისტრირებულია 2022 წლის 18 მარტს შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაკის რაიონი, ნუცუბიძის ფერდობი, II მ/რ., IV კვარტალი, კორპუსი №2, საცხოვრებელი ფართი №76. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 405515606. შპს „ალესოფტ“ წარმოადგენს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება აითრანზიშნ სოფთვეარ ლიმიტიდის შვილობილ კომპანიას.

დაწესებულების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპმენტი. დაწესებულების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირია სერგეი საპოჟკოვ, 3081163A037PB0, MC3289378, 61791008000 (ბელარუსი).

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ დაწესებულება განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. დაწესებულების მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განაგრძონ მისი საქმიანობა მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება დაწესებულების ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. დაწესებულების მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

დაწესებულება ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე. მის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844

3.2 ძირითადი საშუალებები

დაწესებულება ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს-ის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ოფისის აღჭურვილობა	3-5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების ვადა; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს დაწესებულებაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიაწიოს ამონაგების კლასიფიკაცია.

3.3 გადასახადები

შპს „ალესოფტ“ ფლობს „საერთაშორისო კომპანიის“ სტატუსს, რომელიც საგადასახადო სტატუსია და კომპანიას აძლევს საშუალებას, რომ მიიღოს მნიშვნელოვანი საგადასახადო შეღავათები. კერძოდ, კომპანიაში დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული შემოსავალი დაიბეგრება 5%-ით ნაცვლად 20%-სა. ასევე მოგების გადასახადი განისაზღვრება 5%-ით ნაცვლად 15%-სა.

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით. 2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

3.4 შემოსავალი

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი ფასდათმობა. როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. შემოსავალი არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.5 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

3.6 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

დაწესებულება ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს ოფისის, კომუნალურ, იჯარის და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა დაწესებულების მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული სრულად განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე.

2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-23	31-12-22
ეროვნულ ვალუტაში განთავსებული	138,531	14,449
უცხოურ ვალუტაში განთავსებული	7,129,732	1,201,584
სულ	7,268,263	1,216,033

5. სავაჭრო მოთხოვნები

2023 და 2022 წლების ბოლოს დაწესებულებას ჰყავდა მხოლოდ 1 დებიტორი - დაკავშირებული კომპანია, რომელსაც დაწესებულება უწევდა პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპმენტის მომსახურებას და რომლის დავალიანება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 5,678,345 ლარს, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 590,657 ლარს.

6. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები შედგება სხვადასხვა მომსახურებისა და ძირითადი საშუალებების შესაძენად მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსებისგან. აღნიშნული ავანსების ხარჯში/ძირითად საშუალებად აღიარება მოხდება შესაბამისი მომსახურების/აქტივის მიღების შემდგომ. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადახდილი ავანსების საბალანსო ნაშთი შეადგენდა 113,830 ლარს, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 120,748 ლარს.

7. ძირითადი საშუალებები

2023 წლისთვის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 01 იანვარი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
ოფისის აღჭურვილობა	514,573	80,884	595,457
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2,352	15,031	17,383
სულ	516,925	95,915	612,840

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 01 იანვარი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
ოფისის აღჭურვილობა	36,520	115,137	151,657
ავეჯი და სხვა ინვენტარი	40	2,307	2,347
სულ	36,560	117,444	154,004

18.03.2022-31.12.2022 პერიოდისთვის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 18 მარტი	დამატება	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
ოფისის აღჭურვილობა	-	514,573	514,573
ავეჯი და სხვა ინვენტარი	-	2,352	2,352
სულ	-	516,925	516,925

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 18 მარტი	ცვეთის ხარჯი	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
ოფისის აღჭურვილობა	-	36,520	36,520
ავეჯი და სხვა ინვენტარი	-	40	40
სულ	-	36,560	36,560

8. გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი

გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, რომელიც კომპანიას გადასახდელი ჰქონდა 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

9. საწესდებო კაპიტალი

2023 წელს საწესდებო კაპიტალში ცვლილებები არ განხორციელებულა. 18.03.2022-31.12.2022 პერიოდში დამფუძნებელმა განახორციელა დაწესებულების საწესდებო კაპიტალში 100 ლარის შეტანა. შესაბამისად, 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 100 ლარს.

10. შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან

დაწესებულების შემოსავლის წყაროს წარმოადგენს დაკავშირებული კომპანიებისათვის პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპმენტის მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლები. 2023 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 31,419,893 ლარი, ხოლო 18.03.2022-31.12.2022 პერიოდში - 9,303,581 ლარი.

11. რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება

რეალიზებული მომსახურების თვითღირებულებაში ასახულია დაწესებულების მიერ პროექტების ფარგლებში დაქირავებული თანამშრომლებისთვის გადახდილი ხელფასები და აღნიშნული თანამშრომლების საცხოვრებლით უზრუნველყოფის ხარჯები.

ამ დანახარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	2023	18.03.2022-31.12.2022
პირდაპირი ხელფასის ხარჯი	9,548,441	6,432,597
თანამშრომლების საცხოვრებლით უზრუნველყოფის ხარჯი	49,870	241,872
სულ	9,598,311	6,674,469

12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, ოფისის, წარმომადგენლობით და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2023	18.03.2022-31.12.2022
იჯარის ხარჯი	438,055	242,745
ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯი	151,254	73,519
წარმომადგენლობითი ხარჯი	110,110	205,099
საბუღალტრო და იურიდიული მომსახურების ხარჯები	88,457	51,905
მივლინების ხარჯი	43,023	509
ოფისის ხარჯი	37,121	125,011
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	36,281	23,575
საბანკო ხარჯი	5,130	17,096
სხვა ხარჯები	18,942	49,221
სულ	928,373	788,680

13. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	2023	18.03.2022-31.12.2022
არაპირდაპირი ხელფასის ხარჯი	1,063,274	179,763
სხვა სარგებელი	14,405	7,485
სულ	1,077,679	187,248

14. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

14.1 სავაჭრო მოთხოვნები

2023 წელს და 18.03.2022-31.12.2022 პერიოდში დაწესებულება დაკავშირებულ კომპანიას უწევდა პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპმენტის მომსახურებას. აღნიშნულის

ფარგლებში 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაწესებულებას ჰქონდა სავაჭრო მოთხოვნა დაკავშირებული კომპანიის მიმართ 5,678,345 ლარი, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 590,657 ლარი.

14.2 გამოუმუშავებელი შემოსავალი

2023 წლის განმავლობაში დაწესებულება სხვა დაკავშირებულ კომპანიას უწევდა პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპმენტის მომსახურებას, რის ფარგლებშიც 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებული კომპანიისგან ავანსად მიღებულმა თანხამ შეადგინა 77,262 ლარი.

14.3 შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან

2023 წლის განმავლობაში დაწესებულება 2 დაკავშირებულ კომპანიას უწევდა პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპმენტის მომსახურებას, რის ფარგლებშიც მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 31,419,893 ლარი. 18.03.2022-31.12.2022 პერიოდში დაკავშირებული კომპანიისთვის მომსახურების გაწვით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 9,303,581 ლარი.

14.4 მენეჯმენტის კომპენსაცია

2023 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 626,408 ლარი, ხოლო 18.03.2022-31.12.2022 პერიოდში - 53,600 ლარი.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.